საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. უ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის #013/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ, სიითი #

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. პ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. უ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. პ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადახდილი თანხის დაბრუნება. 2019 წლის 30 იანვარს საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო განხილვის კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამსახურიდან გაანთავისუფლეს, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სარჩელი. ადვოკატ, ლ. პ.-ს, რომელსაც ჯარიდან იცნობდა რამოდენიმეჯერ შეხვდა სასამართლოს შენობაში, ხოლო 2017 წლის 04 ოქტომბერს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ადვოკატი შეჰპირდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე დახმარებას. ადვოკატმა თავდაპირველად მოითხოვა ჰონორარის სახით 800 ლარის გადახდა, თუმცა ვინაიდან ე. უ.-ს არ ჰქონდა საშუალება ადვოკატმა ნელ-ნელა დაწია ანაზღაურების ოდენობა და საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ 60 (სამოცი) ლარზე. საჩივრის ავტორის მითითებით, ვინაიდან ფული თან არ ჰქონდა, ადვოკატმა შესთავაზა ე. უ.-ის საცხოვრებელ სახლში ტაქსით წასვლა და 60 (სამოცი) ლარიდან იმ თანხის გამოკლება, რაც ტაქსისთვის იქნებოდა გათვალისწინებული. ამის შემდეგ, ე. უ. ლ. პ.-სთან ერთად მივიდა საცხოვრებელ სახლში. საჩივრის ავტორს სურდა ადვოკატისგან მიეღო გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოში წარსადგენად, შესაბამისად ე. უ.-მ ადვოკატს შესთავაზა ბანკში წასვლა, რასაც ადვოკატი დაეთანხმა. საჩივრის ავტორმა ლ. პ.-ს სს „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით გადაურიცხა 50 (ორმოცდაათი) ლარი (გზავნილის ნომერი:XXXXXXXX), რისთვისაც დამატებით გადაიხადა საკომისიო, 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ხოლო გადარიცხვის დამადასტურებელი დამატებითი ეგზემპლარის ასაღებად 1 (ერთი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არანაირი კონსულტაცია არ გაუწევია შეხვედრისას, მხოლოდ უთხრა რომ დაიბარებდა ოფისში, რომელიც მდებარეობდა გლდანში და ასევე მისცა ტელეფონის ნომერი. ადვოკატმა ასევე აუხსნა, რომ როგორც ძველ ნაცნობს არ გამოართმევდა ჰონორარს, თუმცა 50 ლარი გამოართვა ხარჯებისთვის, რაც მომსახურების პერიოდში დასჭირდებოდა. ამასთან, ადვოკატს 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სჭირდებოდა საადვოკატო ოფისში უფროსთან მისატანად, რადგან მას უკმაყოფილება არ გამოეთქვა ლ. პ.-ის მიერ ე. უ.-ისთვის უფასო მომსახურების განხორციელებაზე.

1.4 საჩივრის ავტორმა განხილვის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატს ენდობოდა როგორც ნაცნობს და დაჰპირდა, რომ საქმის მოგების შემთხვევაში 1000 ლარს გადასცემდა. ე. უ.-ის განმარტებით, ადვოკატი შეჰპირდა რომ 2017 წლის 7 დეკემბერს სასამართლოში დანიშნულ პროცესზე გამოცხადდებოდა, თუმცა არ გამოცხადდა. ამასთან თანხის გადაცემის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, სატელეფონო საშუალებით შეძლო ადვოკატთან დაკავშირება. ადვოკატმა მოსთხოვა საქმის მასალების გადაღება, რაც ე. უ.-მ შეასრულა, თუმცა ამის შემდეგ ადვოკატს ვეღარ დაუკავშირდა. ლ. პ. არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, ხოლო მისი მისამართი საჩივრის ავტორისთვის უცნობია.

1.5 ე. უ.-ის განმარტებით, ლ. პ.-ს არაფერი გაუკეთებია, ხოლო ადვოკატის მიერ მისთვის მიყენებულმა ზარალმა შედგინა 56 (ორმოცდათექვსმეტი) ლარი. შესაბამისად, საჩივრის

ავტორს სურს ეთიკის კომისიის მიერ შეფასდეს ლ. პ.-ის ქმედებები, ამასთან ადვოკატისგან დაიბრუნოს მის მიერ გადახდილი თანხა - 56 (ორმოცდათექვსმეტი) ლარი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 საპროცესო ეტაპზე ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატ ლ. პ.-ს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ დაუკავშირდა ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე, ასევე ელექტრონულ მისამართსა და საცხოვრებელ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მისამართის ცვლილების გამო ფოსტის საშუალებით ადვოკატს გზავნილი არ ჩაბარდა, ხოლო ელექტრონულად გაგზავნილი საჩივრის გაგზავნა დადასტურდა ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურით, თუმცა საჩივრის მიღება ადვოკატმა არ დაადასტურა.

2.2 2019 წლის 29 იანვარს, განხილვის ეტაპზე, ადვოკატმა ლ. პ.-მ ეთიკის კომისიას ელექტრონული საშუალებით წარმოუდგინა ახნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით ე. უ.-ს იცნობდა, თუმცა მათი ურთიერთობა არ მოცავდა ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობას.

2.3 ადვოკატის გამარტებით, ე. უ.-ს ჰქონდა მისი ვალი - 60 ლარი, რომელიც მან გზავნილის სახით გადაურიცხა ადვოკატს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების შემთხვევაში გზავნილის დანიშნულებაში აუცილებლად დააფიქსირებინებდა „იურიდიული დახმარების გაწევას“.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მოთხოვნა არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. პ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის პოზიციის ან სხვა, გამაქარწყლებელი მტკიცებულებების საქმეში არარსებობის გამო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი დაკმაყოფილდა და აღნიშნული სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშვა, კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი 50 ლარი ადვოკატის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, ხოლო ადვოკატმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა, არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, სადაც იხილებოდა მისი კლიენტის შრომითი დავა. მას შემდეგ, ადვოკატს არ დაუბრუნებია კლიენტისთვის ზემოაღნიშნული თანხა.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა ქმნის ადვოკატთა კანონის 5.ა, და აპეკ-ის 8.5 მუხლის მე-2 ნახევარწინადადების, აპეკ-ის 8.13 და 8.15 მუხლების შემადგენლობას, რაც ნიშნავს, რომ მათი განხილვის სტადიაზე დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 საჩივრის ავტორმა ე. უ.-მ ადვოკატ, ლ. პ.-ს გადაურიცხა 50 ლარი, ფულადი გზავნილის საშუალებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. ამონაწერი სს „საქართველოს ბანკიდან".

4.2 საქმეში სადავო გარემოებაა ე. უ.-სა და ლ. პ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობა. განხილვის კოლეგიამ აღნიშნული გარემოება სადავოდ მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის გამო მიიჩნია:

4.2.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. პ.-ს შეუთანხმდა, რომ ის დაიცავდა მის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში და გამოცხადდებოდა 2017 წლის 7 დეკემბერს ჩანიშნულ სხდომაზე, რისთვისაც გადაურიცხა თანხა 50 (ორმოცდაათი) ლარი. თუმცა, ადვოკატი სხდომაზე არ მივიდა და საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მასთან დაკავშირება.

4.2.2 ადვოკატის განმარტებით, მასა და ე. უ.-ს შორის არ ყოფილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ისინი იყვნენ ძველი ნაცნობები, ე. უ.-ს ჰქონდა მისი ვალი 60 (სამოცი) ლარის ოდენობით, რაც ფულადი გზავნილის სახით გადაურიცხა საჩივრის ავტორმა.

4.2.3 ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა ე. უ.-სა და ლ. პ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ფარგლებში ხომ არ მოხდა ე. უ.-ის მიერ ლ. პ.-ისათვის ჰონორარის გადახდა.

4.2.4 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი უდავო მტკიცებულება (წერილობითი შეთანხმება, რწმუნებულება) რომელიც დაადასტურებს ე. უ.-სა და ლ. პ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმების ფაქტს. ამასთანავე, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ე. უ.-ის მიერ ლ. პ.-ისათვის საადვოკატო მომსახურებისთვის ჰონორარის გადახდის ფაქტი, ვინაიდან საბანკო ამონაწერით არ დგინდება გაგზავნილი თანხის - 50 ლარის დანიშნულება.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. პ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ლ. პ.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.5 მუხლი: *,,ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."*

აპეკ-ის 8.13 მუხლი: *ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.*

აპეკ-ის 8.15 მუხლი: *„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს.. ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას".*

6.2 ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებები კლიენტის მიმართ წარმოეშობა მასთან ურთიერთობის დაწყებისას. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა კი იწყება შეთანხმებით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. ადვოკატი და კლიენტი ასევე წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ საადვოკატო მომსახურების საფასურზე. შეთანხმების შემდეგ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს საადვოკატო მომსახურება გაუწიოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით დადგენილი ყველა საშუალება, რითაც უზრუნველყოფს კლიენტის სათანადო წესით დაცვას.

6.3 შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში,

როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

6.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასა და ადვოკატ ლ. პ.-ს შორის მოხდა საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება, რისთვისაც გადასცა 50 ლარი. თუმცა ადვოკატი უარყოფს აღნიშნულს და მიუთითებს, რომ ე. უ. არის მისი ძველი ნაცნობი, რომელმაც დაუბრუნა ვალი, რომელიც მათ შორის არსებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში ეკისრებოდა.

6.5 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით დაადასტუროს მისი პრეტენზია ადვოკატის მიმართ, თავის მხრივ ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი - გააქარწყლოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები და მოთხოვნები. ეთიკის კომისიას კი აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე.

6.6 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ მხარეები სადავო გარემოებებთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებენ, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მათ პოზიციებს. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ფულადი გზავნილის ქვითარი, რომლის მიხედვით გამგზავნია - ე. უ., ხოლო თანხის მიმღებია - ლ. პ., გაგზავნილი თანხაა - 50 (ორმოცდაათი) ლარი. განხილვის კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ ფულადი გზავნილის ქვითარში არ არის მითითებული დანიშნულება. შესაბამისად, არ არსებობს მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთიერთობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

6.7 ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, განხილვის კოლეგია მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში ვერ დაეყრდნობა მხოლოდ საჩივრის ავტორის მითითებას ლ. პ.-სთან საადვოკატო მომსახურებაზე შეთანხმების და მისთვის ჰონორარის გადაცემის თაობაზე, ვინაიდან მტკიცების ტვირთის გადანაწილების პირობებში, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცებულებებით დადასტურება. ვინაიდან არ დასტურდება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ე. უ.-სა და ლ. პ.-ს შორის, შესაბამისად მათი ურთიერთობა არ ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ რეგულირებული ურთიერთობის ფარგლებში.

6.8 ამ პირობებში ეთიკის კომისია ვერ გაცდება დისციპლინური ბრალდების ფარგლებს და ვერ იმსჯელებს ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევაზე.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №013/18 ადვოკატ ლ. პ.-ს /სიითი #/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/